საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №164
2017 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის №108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის №108 ბრძანებით (ვებგვერდი, 04/04/2017, სარეგისტრაციო კოდი 010320040.22.033.016957) დამტკიცებულ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სპეციალისტი:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office Word, Microsoft office Excel, Microsoft office Outlook) და Internet-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

დ) უპირატესობა ენიჭება პრაქტიკის ან/და სტაჟირების გამოცდილებას.“.

2. 33-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;“;

ბ) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;“;

გ) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის,

უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;“;

დ) მე-4 პუნქტს „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**